საქართველოს მთავრობის

დადგენილება №198

2023 წლის 29 მაისი

ქ. თბილისი

„ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/12/2019, 330090000.10.003.021610) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული ტექსტური ნაწილი (გარდა დანართი №1-ისა და დანართი №2-ისა) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული რედაქციით.

2. მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი №2-ით განსაზღვრული რედაქციით.

3. მე-3 პუნქტით დამტკიცებული დანართი №4 ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართი №3-ით განსაზღვრული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**